საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის სახაზინო პალატა

თბილისის სახაზინო პალატა, ჩამოყალიბდა 1802 წ. 8 მაისს, რუსეთის მმართველობის სისტემის შემოღების დროს, და მას „სახაზინო ექსპედიცია" დაერქვა. 1840 ადმ. რეფორმასთან დაკავშირებით ეწოდა „საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატა". 1846 წ. 14 დეკემბერს მხარის ახალ ადმ. რეფორმასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა 4 გუბერნია. საქართველო გაიყო 2 – თბილისისა და ქუთაისის – გუბერნიად. საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატას ეწოდა თ. ს. პ. გაუქმდა 1918 წ. 19 ნოემბერს.